

ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის
N5 ოთახზე, მოქალაქე ანეელიკა მესხიშვილისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამში განხილული იქნა მშვიდობის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N5 ოთახში მცხოვრები მოქალაქე ანეელიკა მესხიშვილის განცხადება /2012 წლის 24.08 Nმ-6989/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ოთახზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N5 ოთახი/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N5 ოთახზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ანეელიკა მესხიშვილს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N4 საცხოვრებელი სახლის N5 ოთახზე /საერთო ფართობი 24,73 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 24,73 კვ.მ./ მოქალაქე ანეელიკა მესხიშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ი.ჯიქია